ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3841613

ნომერი: AR1565525

თარიღი : 21.12.2017

გაცემის თარიღი : 26.02.2018

გაცნობის თარიღი : 26.02.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი ი.ჭავჭავაძე , N 74/11 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ფალავანდიშვილი პ/ნ 01017014926
- თბილისი ამაღლების ქ. N 4

ნომენკლატურა :

- I კლასი
- ანტრესოლის, კიბის, ვიტრინის, კარის, ფანჯრის და სხვა ღიობის მოწყობა ან დემონტაჟი რეკონსტრუქცია
- პერგოლა
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ი. ჭავჭავაზე #74/11, სს „საქწყალპროექტის“ საკუთრებაში არსებულ შენობის ფასადზე პირველი კლასის სამუშაოების განხორციელებას და ღია საზაფხულო კაფის მოწყობას. პასუხად გაცნობებთ, რომ განსახორციელებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური.

„მშენებლობის ნაბართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად, სამსახურმა შეამოწმა წარმოდგენილი დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტრიდან #892018097306, 07/02/2018; ს.კ. #01.14.11.001.001; საკადასტრო გეგმა; არსებული ფოტო და ფოტომონტაჟი) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ი. ჭავჭავაზე #74/11, სს „საქწყალპროექტის“ საკუთრებაში არსებულ შენობის ფასადზე პირველი კლასის სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

ამასთნავე ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ’’ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 66-ე მუხლის მე-6 პუნქტის და 17-ე მუხლის მეორე პუნქტის თანახმად (საზოგადოებრივ ან/და მის მომიჯნავე ტერიტორიაზე განთავსებული დროებითი შენობისა და ნაგებობის გამოყენების მაქსიმალური ვადაა 1 წელი და შესაძლებელია ყოველი ვადის ამოწურვის შემდეგ ვადის მაქსიმუმ 1 წლით გაგრძელება. ვადის ამოწურვის შემდეგ, როდესაც არ ხდება ვადის გაგრძელება, აუცილებელია დროებითი შენობისა და ნაგებობის დემონტაჟი (დაშლა/დანგრევა), ტერიტორიიდან გატანა, აგრეთვე, ამ ტერიტორიის კეთილმოწყობა ან/და პირვანდელ მდგომარეობაში მოყვანა) გეძლევათ ნებართვა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, გამზირი ი. ჭავჭავაზე #74/11 ღია სეზონური/საზაფხულო კაფის მოსაწყობად 2019 წლის 27 თებერვლამდე წარმოდგენილი ესკიზის და ფოტომონტაჟის შესაბამისად.

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.